# 2 X 2=49

■ **გია ჯანდიერი**

*კახა ბენდუქიძემ ერთხელ იხუმრა, – ვინმემ თუ გითხრა, ორჯერ ორი შვიდიაო, ხელი მოკიდე, მაგას კიდევ ეშველებაო.*

მთავრობაში ეკონომიკაზე ყოველთვის თავისი სიმართლე იციან. რიცხვები ყველას საერთო გვაქვს – სხვა რა გზაა, მაგრამ ყველა თავისებურად და/ან თავის სასარგებლო რიცხვებს ამჩნევს.

ოპოზიციას, ცხადია, ურჩევნია ყველაფერი შავ ფერებში დაინახოს. 2011 წელს ერთმა "ექსპერტმა" გაბრაზებულმა მითხრა – ქვეყანა ინგრევაო – იმ დროს, როდესაც არც ერთი ინდიკატორი არ მიუთითებდა ამის შესახებ. ამ ექსპერტის სასურველი მთავრობა ახლა გვყავს (თუმცა, მას პირადად აღარ წყალობენ) და ეს მთავრობაც ჯერ კიდევ იმ 9 წელზე საუბრობს, საქართველო რომ ინგრეოდა და საკუთარ საოცარ მიღწევებზე, რომლის შესახებ არც ერთი რეალური მონაცემი არ გვაქვს.

ასეთი ექსპერტების დამსახურება იყო ასევე ოცნების და მისი მომხრეების "შეცდომაში შეყვანა" ენერგიის ფასების შესახებ. როგორც ჩანს, მათ ემოციებმა ისე გადაძლია, ორჯერ ორი ორმოცდაათად მოაჩვენა. მათივე დამსახურებით ბევრმა დაიჯერა (ხალხისთვის რაც სამწუხაროა – ოცნებაში დაიჯერეს), რომ იმ 9 წელში არაფერი კეთდებოდა, მეტიც, რაც მოხდა თავისით მოხდა და არავისი დამსახურება არ იყო და შესაბამისად მაგას ყველა შეძლებდა.

სიმართლე გამხელილი ჯობს და იმ 9-წლიან მთავრობაშიც იყო ხალხი, ვინც ვერ ერკვეოდა რა მოხდა. კერძო სექტორში მრავალი ახალი ბიზნესი გაჩნდა და მრავალმა დიდ წარმატებას მიაღწია, – მათი დამსახურება უდაოა, მაგრამ იმ რეფორმების დამსახურებას ეს ბიზნესები, სამწუხაროდ, ან უარყოფენ ან ჩქმალავენ. რეფორმების გვერდით იყო სერიოზული პრობლემებიც – კერძო საკუთრების დაუცველობა და სასამართლოს არაეფექტიანობა ყველა კვლევაში (დღემდე!) ჩანს.

## იმ ლოგიკით, როგორც ოცნება ყოველწლიურად გვამცნობს მათი პოლიტიკის წარმატებებს, მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქვეყნები ზიმბაბვე და ვენესუელა უნდა იყვნენ.

ეჭვი მაქვს, რომ მართლა რაც მოხდა, მაშინ მოხდა და სხვა დროს ვერ მოხდებოდა. მაგალითად, ელექტროენერგიის მიწოდების მოწესრიგება, პოლიციის და სხვა სახელმწიფო ორგანოების გაწმენდა კორუფციისგან, გადასახადების შემცირება, საგადასახადო და საბაჟო სისტემების ციფრულ ტექნოლოგიებზე გადაყვანა, რეესტრების საუკეთესო სისტემების დანერგვა და მრავალი სხვა. დღეს თუ რამე მუშაობს, პირველ რიგში ეს ყველაფერი მუშაობს და მაშინდელი ზრდის გარკვეული ინერცია. ამის გამკეთებელი თუ ვინმე იყო მანამდე – რატომ არ აკეთებდა და თუ ოცნებას ყავს – რატომ არ აგრძელებს, საქმე ბევრია დარჩენილი, ხელს არავინ უშლის.

იმ ლოგიკით, როგორც ოცნება ყოველწლიურად გვამცნობს მათი პოლიტიკის წარმატებებს, მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქვეყნები ზიმბაბვე და ვენესუელა უნდა იყვნენ. მათი ეროვნული ვალუტები ყველაზე გაუფასურებულია – ზოგ მათ ბანკნოტზე დაწერილი რიცხვის წაკითხვა ძალიან ცოტა ადამიანმა იცის დედამიწაზე. ასე ჩვენც 2014 წლის მერე მეთოდურად გავაუფასურეთ ლარი. შეთქმულების თეორიას შემდეგი წერილისთვის შემოვინახავ, მაგრამ აქ თამამად ვიტყვი, რომ ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკის მუშაობის შედეგია.

**ყველა ვალუტა იმით ფასობს, რა შეიძლება მისი გამოყენებით შეიძინო. მიუხედავად სასათბურე პირობებისა და ბოლო ხანებში მისი მონოპოლიური მდგომარეობის გაძლიერების არაერთი მცდელობისა, ლარს არაფერი ეშველა. მას არც ტურიზმის სწრაფმა ზრდამ უშველა და არც ფულადი გზავნილების ასევე რადიკალურმა ზრდამ. სხვადასხვა ინდუსტრიულ თუ აგრარულ წარმოებაში გადარიცხულმა მილიარდობით სუბსიდიებმა ქვეყანა წინ კი არა უკან დახია.**

**სუბსიდიების არაეფექტიანობა, სხვათაშორის, კარგი გაკვეთილია მთავრობის ოპონენტებისათვისაც. სუბსიდიების მომხრეებმა უნდა მოახერხონ, თომას სოუელის სამი არგუმენტი გააბათილონ: რასთან შედარებითაა სუბსიდიები კარგი? რა ჯდება სინამდვილეში სუბსიდიები? რა მყარი დასტური გაქვთ სუბსიდიების წარმატების?**

**სინამდვილეში ეს ფული ცალკე იფლანგება – შედეგი პრაქტიკულად(!) არ არსებობს, იგივე ფული წარმატებულ ბიზნესებს გადაახდევინეს იმის ნაცვლად, რომ გაფართოებულიყვნენ და მეტი ადამიანიც დაესაქმებინათ. ასეთ შემთხვევაში აგრარული წარმოებიდანაც გამოთავისუფლდებოდა ზედმეტი დასაქმებულები და მაგ სექტორსაც წარმატების მეტი შესაძლებლობა გაუჩნდებოდა. ანუ სუბსიდიებს განვითარება ჯობს, ქვეყანას ძვირი უჯდება და მსოფლიოში არ არსებობს პოზიტიური გამოცდილება. თვითონ მთავრობის შესაბამისმა წევრებმა ჩვენზე კარგად იციან ეს, მაგრამ ზემოთაღნიშნული აკლიათ 9-წლიანი მთავრობის – გამკეთებელი უნდა იყო.**

ოფიციალური სტატისტიკით, აშშ დოლარში გადათვლილი საქართველოს ეკონომიკა 2004 წლიდან 2012 წლამდე 4-ჯერ გაიზარდა, ანუ 300%-ით. აქ შეგვიძლია დამატებით ისლა ვთქვათ, რომ თვით აშშ დოლარი განიცდიდა ინფლაციას (დევალვაციას) და თუ თვითონ ამერიკულ კვლევებს დავეყრდნობით, იგი ამ პერიოდში 24%-თ გაუფასურდა, და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკა მყარ დოლარში მხოლოდ 3.3-ჯერ გაიზარდა, ანუ 230%-ით. ამადროულად შეიძლება თუმცა გავიხსენით სხვა ინდიკატორებიც, რომელიც ასევე გვიჩვენებს წინსვლას: საშუალო ხელფასი გაიზარდა 6-ჯერ (500%), ბანკებში დეპოზიტები – 34-ჯერ (3300%), საბიუჯეტო შემოსავლები – 7.3-ჯერ (630%), საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი 5-ჯერ (400%), იმპორტი 7-ჯერ (600%), ბრუნვა – 6.5-ჯერ (550%) – ყველაფერი მყარ ვალუტაში.

მოდით ახლა ოცნების მთავრობის რიცხვებს შევხედოთ და შევადაროთ:

1. საშუალო ხელფასი 2012 წელს იყო 712 ლარი – რაც აშშ დოლარში იყო 431, 2020 წლისთვის შესაბამისად ₾1191 და $383

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2012 წელს იყო 7.5 მილიარდი ლარი, რაც იმ დროს უტოლდებოდა 4.78 მილიარდ აშშ დოლარს, 2020 წელს შესაბამისად ₾12.41 მილიარდი რაც ტოლი იყო $3.99 მილიარდის (2019 წელს $4.78 მილიარდი).

3. მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ მოსახლეზე 2012 წელს იყო 4421 აშშ დოლარი, ხოლო 2020 წელს $4266, თუმცა პანდემიას რომ არ დაბრალდეს მხოლოდ, 2019 წელს – $4698, ანუ 2019 წლისათვის 7 წელიწადში ზრდა იყო სულ 6%.

4. თვითონ მშპ ამ პერიოდში $16.5 მილიარდიდან 2019 წლისათვის $17.5 მილიარდამდე გაიზარდა (6%).

5. საბანკო დეპოზიტები 2.98 მილიარდი ლარიდან რომელიც მაშინ უდრიდა 1.8 მილიარდ დოლარს, 2021 წლის ბოლოსთვის 14.2 მილიარდი ლარამდე, 4.76-ჯერ, ანუ 376%-ით გაიზარდა; იგივე, გადაყვანილი აშშ დოლარში ასე გამოიყურება, შესაბამისად – $4.6 მილიარდი, გაზრდილია 2.55-ჯერ, ანუ 155%-ით. თუმცა ამ წარმატებით არ ღირს დიდი აჟიტირება, ესტონეთში, რომლის მოსახლეობა საქართველოზე 3-ჯერ ნაკლებია, დეპოზიტებზე $31 მილიარდი აქვთ, ანუ ჩვენზე 6.7-ჯერ მეტი და ერთ მოსახლეზე გადათვლით 18-ჯერ მეტი(!), ასევე ცხადია დეპოზიტების მოცულობის ზრდის ტემპის დიდი კლება წინა პერიოდთან შედარებით (2.5-ჯერ ზრდა 34-ჯერ ზრდასთან შედარებით).

6. საგარეო ვაჭრობა: 2012-2021 წლებში ექსპორტი გაიზარდა 1.78-ჯერ ანუ 78%-ით ხოლო იმპორტი 1.25-ჯერ – ანუ 25%-ით, ბრუნვა 1.37-ჯერ – ანუ 37%-ით (წინა პერიოდში – 550%-ით).

თუ ამ რიცხვებს პრაქტიკულ ცხოვრებაში გადავიტანთ, მაგალითად საშუალო ხელფასს – 1000 ლარი 2012 წელს ყიდულობდა 606 აშშ დოლარს, დღეს 1000 ლარით ვიყიდით 325 აშშ დოლარს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტორიც, რომ თვითონ აშშ დოლარიც ამ პერიოდში ღირებულებას კარგავდა (ანუ 100 დოლარით ნაკლებ რამეს შეიძენთ ახლა). შესაბამისად, 1000 ლარი დღეს უდრის 2012 წლის 286 აშშ დოლარს. ცხოვრება ამ ადამიანებს საქართველოში შესაბამისად საშუალოდ 1.6-ჯერ, ანუ 60%-თ გაუძვირდათ.

მნიშვნელოვანია, რომ ამავე კრიტერიუმით თუ ვიმსჯელებთ, 2021 წელს, რომელიც მთავრობას დიდ წარმატებად მიაჩნია, მშპ ვერ გადააჭრბებს 17.5 მილიარდ აშშ დოლარს, რომელიც 2012 წლის დოლარის მიხედვით მხოლოდ $14.4 მილიარდს გაუტოლდება, რაც ნიშნავს, რომ რეალურ ცხოვრებაში ეკონომიკა 2012 წლის შემდეგ საერთოდ არ გაზრდილა. (ასევე, მაგალითად, საგარეო ვაჭრობა 37%-ს ნაცვლად, სინამდვილეში 13%-ით გაიზარდა.)

რაც მართლა იზრდებოდა და დიდ და მზარდ გავლენას ახდენდა ეკონომიკაზე ბოლო წლებში, იყო უცხოეთიდან ნათესავებისათვის ფულადი გზავნილები. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, ოფიციალური ფულადი გზავნილების მოცულობა – გადმორიცხვებით – 2012 წლისთვის 1.33 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2021 წელს ამ თანხამ 2.35 მილიარდ დოლარს მიაღწია, შესაბამისად, თუ მისი წილი ეკონომიკაში (მშპ) 2012 წელს იყო 8%, 2021 წლისათვის 13%-ს გადასცდა, რაც უნდა ჩაითვალოს ეკონომიკის ერთ-ერთ რეალურ წყაროდ და არა მთავრობის წარმატებული საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკამ მთლიანად 5% დამატებით წყარო შეიძინა, ეს ეკონომიკურ ზრდას არ დაეტყო.

აღსანიშნავია, რომ საერთაშრისო სავალუტო ფონდის მონაცემებით ფულადი ტრანსფერები (remittances) სინამდვილეში უფრო მეტია – წლების მიხედვით ასეთი განსხვავება ზოგჯერ 600 მილიონ დოლარსაც შეადგენდა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ბევრი ასეთი დახმარება ნაღდი ფულით ან ნატურითაც ხორციელდება ხოლმე. შედეგად, უცხოეთში მცხოვრები დახმარების დონე ეკონომიკაში 15%-საც აღწევს; სხვა საკითხია, რომ ასეთი ტიპის თავისუფალი სახსრების შემოდინება ეკონომიკაში გაცილებით დიდ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით კი მოთხოვნის ზრდის თვალსაზრისით (ეს ყველაზე მეტად დეკემბერში იგრძნობა, ახალი წლის და შობის მოლოდინში).

2021 წელს როგორც მოსალოდნელი იყო, ეკონომიკამ გაზარდა ბრუნვა – ფირმებმა და ადამიანებმა საქმიანობა გააგრძელეს, საერთაშრისო დახმარებაც მიმოქცევაში შევიდა, თუმცა ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მკაფიო ფაქტორი სწორედ ფულადი გადარიცხვები იყო, რომელიც 2021 წელს 2020-თან შედარებით 500-600 მილიონი აშშ დოლარით მეტი იყო (2021 წლის სტატისტიკა ჯერ არ არსებობს). არ უნდა გამოვტოვოთ ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აგვისტოში გაკეთებული ლარის მონეტარული სისტემის მხარდაჭერა, რომელმაც ეკონომიკას გარკვეული სტაბილურობა მოუტანა და ააცილა შესაბამისი დანახარჯები. ამავდროულად, სსფ-მ ყურადღება აშკარად მოადუნა საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო ვალების ზრდაზე. სახელმწიფო ვალი 2004 წლისათვის მშპ-ს 43% იყო, 2012 წლის ბოლოსთვის (2008 წლის რუსეთთან ომისა და 2011 მსოფლიო კრიზისის პირობებში) ვალი 34%-მდე შემცირდა, 2019 წელს ვალი 40%-ს სცდებოდა და 2020 წელს 60%-ს გადააჭარბა. დღეისთვის საქართველოს მთავრობის საერთო ვალი 10 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

ბოლოს, საქართველოს მთავრობის პოლიტიკის შეცდომები ცხადია ამით არ ამოიწურება. მაგალითად, ასევე გაურკვეველი ეკონომიკური მიზნები ჩანს რუსეთთან ვაჭრობის გაუმჯობესების უკან. ბოლო 7 წელიწადში, ანუ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობა ფაქტობრივად ჯამურად არ იზრდებოდა, იმ დროს როდესაც რუსეთთან ვაჭრობა მკვეთრად გაიზარდა. თუმცა რუსეთთან ვაჭრობის საერთო მოცულობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ევროკავშირს და თურქეთსაც, მაგრამ ტენდენცია, რომელიც ამ გრაფიკზე კარგად ჩანს – არასახარბიელოა:

**საქართველოს საგარეო ბრუნვა ევროკავშირთან და რუსეთთან, ათასი აშშ დოლარი, 2014-2021**




ასეთი პოლიტიკა საქართველოს მახეს უგებს, რომლიდანაც უკან გამოსვლა გაჭირდება და ისევ 1990-ანი წლების ტრაგედიით დამთავრდება.

რუსეთი არანაირად არ არის კარგი სავაჭრო პარტნიორი, რადგან არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული, კრიმინალური, ბიუროკრატიზებული, პოლიტიზებული და არაეფექტიანი სასამართლოს მქონე ქვეყანა. თუ რამის იმპორტი ხდება ახლა რუსეთიდან, სწორედ ასეთი გამოცდილების.

რუსეთის არც ერთ პარტნიორს არ აქვს დალხენილი ცხოვრება (ყირგიზეთი 4-ჯერ და ტაჯიკეთი 5-ჯერ ღარიბია საქართველოზე). მისი მოსახლეობის რაოდენობა 3-ჯერ მცირეა და მსყიდველობითი უნარიც 3.5-ჯერ მცირეა ვიდრე ევროკავშირში, ანუ რუსეთის ეკონომიკა 10-ჯერ მცირეა და ღარიბი ევროკავშირთან შედარებით.

ეს მოყვანილი მონაცემები, როგორც ჩანს, მთავრობამ არ იცის, მიუხედავად განწყობებისა, აუცილებელია მას და მის ამომრჩეველს ჰქოდეთ წარმოდგენა, სინამდვილეში რა ხდება. თუ ამ ყველაფრის არ ჯერათ, ქუჩაში გამოვიდნენ და გამოკითხონ ხალხი.

**2X2=4.**